

შპს „აი პი ეს“

ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „აი პი ეს“

სარჩევი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალის მოძრაობის უწყისი	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. შემოსავალი რეალიზაციიდან	7
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7
6. ძირითადი საშუალებები	8
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
8. ფული და ფულის ექვივალენტები	9

შპს „აი პი ეს“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	1,798,828	3,700,078
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(1,366,383)	(2,929,236)
საერთო მოგება		432,445	770,842
დასაქმებულთა ანაზღაურება		(261,288)	(348,657)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(92,192)	(150,715)
ცვთა და ამორტიზაცია	6	(57,020)	(39,271)
საოპერაციო მოგება		21,946	232,199
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		14,597	16,346
საპროცენტო ხარჯები		(60,156)	(31,669)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(222,517)	(29,243)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(29)	(6,575)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(246,159)	181,059
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(246,159)	181,059
სხვა სრული შემოსავალი			
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან		483	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(245,676)	181,059

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 29 სექტემბერი


დამირ მიქელაშვილი
დირექტორი



4-9 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „აი პი ეს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდირებული)	1 იანვარი 2019 (არააუდირებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	802,496	698,487	494,799
არამატერიალური აქტივები		2,288	678	678
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		212,958	141,221	90,736
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,017,743	840,386	586,212
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		852,917	388,828	393,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	363,849	124,243	315,390
გადახდილი ავანსები		192,107	164,171	43,119
საგადასახადო აქტივები		-	36,396	2,174
ფული და ფულის ექვივალენტები	8	101,837	16,297	179,374
სხვა მიმდინარე აქტივები		120,699	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,631,409	729,936	933,768
სულ აქტივები		2,649,152	1,570,322	1,519,981
საკუთარი კაპიტალი				
დაგროვილი მოგება		(246,159)	181,059	-
ძირითადი საშუალებების გადაფასება		483		
გაუნაწილებელი მოგება		704,793	523,735	523,735
სულ კაპიტალი		459,117	704,793	523,735
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		957,856	694,847	504,378
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		957,856	694,847	504,378
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		157,071	122,920	85,216
გამოუმუშავებელი შემოსავალი		1,020,122	18,172	344,378
გადასახდელი ხელფასები		-	-	1,970
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		14,450	3,000	35,024
საგადასახადო ვალდებულებები		12,237	-	-
გადასახდელი პროცენტები		28,298	26,589	25,280
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,232,178	170,681	491,868
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,649,151	1,570,322	1,519,981

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 29 სექტემბერი.

დამირ მიქელაძე
დირექტორი



4-9 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „აი პი ეს“

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწედებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 1 იანვარი 2019	692	-	523,043	523,735
პერიოდის წმინდა მოგება(ზარალი)	-	-	181,059	181,059
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	692	-	704,101	704,793
პერიოდის წმინდა მოგება(ზარალი)	-	-	(246,159)	(246,159)
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	483	-	483
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	692	483	457,942	459,117

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 29 სექტემბერი.

დამირ მიქელაძე
დირექტორი



4-9 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „აი პი ეს“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 24 აგვისტოს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 445490861.

ძირითადი საქმიანობა. შპს „აი პი ეს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სავალდებულო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო საქონლით და სხვადასხვა სამშენებლო, სარემონტო სამუშაოებით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #49, მეორე სართული, ბინა 1.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობს დამირ მიქელაძე (3/5 61006019520).

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „აი პი ეს“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საეჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალეები. საეჭვო და უიმედო ვალეების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები

ადიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი ადიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის ადიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) ადიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან ადიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების ადიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების ადიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	3-10
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები

• **ადიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაანირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღირიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღირიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოგებული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020	2019
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,084,426	298,380
შემოსავალი საქონლის მიწიდებიდან	698,573	3,388,101
სხვა შემოსავალი	24,828	13,597
ჯამი	1,798,828	3,700,078

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
სამიწივინებო ხარჯი	18,723	38,780
სხვადასხვა მომსახურება	10,833	32,891
საოფისე ინვენტარი	7,700	12,875
სხვა საგადასახადო ხარჯი	7,503	5,963
კომუნიკაციის ხარჯები	5,261	8,877
წარმომადგენლობითი ხარჯი	4,436	13,865
დაზღვევა	4,215	5,424
სოციალური დანარიცხები	3,994	6,143
დამხმარე მასალა-იარაღებს დანახარჯი	3,953	1,281
საიჯარო ქირა	1,780	-
მიწოდების სხვა ხარჯები	1,000	6,825
სხვა საერთო ხარჯი	22,793	17,790
ჯამი	92,192	150,715

შპს „აი პი ეს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარებ ი	სატრანსპორტ ო საშუალებები	ჯამი
1 იანვარი 2019	500,804	5,160	-	-	-	505,964
შესყიდვები	90,630	26,555	20,566	-	105,208	242,959
გაყიდვები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	591,434	31,715	20,566	-	105,208	748,923
შესყიდვები	11,444	483	6,103	142,999	-	161,030
გაყიდვები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	602,878	32,198	26,669	142,999	105,208	909,953
ცვეთა	-	-	-	-	-	-
1 იანვარი 2019	(8,023)	(3,142)	-	-	-	(11,165)
ცვეთა	(24,068)	(4,354)	(5,058)	-	(5,791)	(39,271)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(32,091)	(7,496)	(5,058)	-	(5,791)	(50,436)
ცვეთა	(24,461)	(4,551)	(18,988)	-	(9,021)	(57,020)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(56,551)	(12,047)	(24,046)	-	(14,812)	(107,456)
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
1 იანვარი 2019	492,781	2,018	-	-	-	494,799
31 დეკემბერი 2019	559,343	24,219	15,508	-	99,416	698,487
31 დეკემბერი 2020	546,326	20,152	2,623	142,999	90,396	802,496

შპს „აი პი ეს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	298,445	34,680	137,863
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	62,853	86,805	175,038
იჯარა	2,488	2,488	2,488
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	62	269	-
ჯამი	363,849	124,243	315,390

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფული სალაროში	127	8,086	1,583
ფული საბანკო ანგარიშზე	101,709	8,212	177,791
ჯამი	101,837	16,297	179,374